ოქმი:**ო63. 63260822**
თარიღი:**23/03/2026**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის

შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ

საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N3

ქ. სამტრედია 19 მარტი, 2026 წელი.

მიმდინარე წლის 19 მარტს სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ნუგზარ ნუცუბიძის, თავმჯდომარეობით ჩატარდა შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ნუცუბიძე, ნათია პაპავა, ტარიელ დვალიშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, ჯონი თევზაძე, გიორგი მეიშვილი, კობა ჟორჟოლიანი, ვარგისო ჩაჩუა, ზაზა ადეიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, წარმატებები უსურვა მათ და წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

სხდომის დღის წესრიგი განისაზღვრა და დამტკიცდა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი :

1.„სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის ღონისძიებათა ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 24 დეკემბრის N გ-63. 632535817 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ნ.ნუცუბიძე/

2.,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ნ.ნუცუბიძე/

3.,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი''-ს 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N გ-63.632535828 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ნ.ნუცუბიძე/

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კენჭისყრის შედეგად შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა (9) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, შრომის, ჯანმრთლობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა (9) ხმით, დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ნუგზარ ნუცუბიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტი, .„სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის ღონისძიებათა ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 24 დეკემბრის N გ-63. 632535817 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 13 მარტის N62-622607292 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, . „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის ღონისძიებათა ხარჯების დამტკიცების შესახებ“, შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 24 დეკემბრის N გ-63. 632535817 განკარგულებაში ცვლილების შეტანას. კერძოდ:

1. **შემცირდეს:**

მუხლი 14. ფინანსური დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში - 400 ლარით; შესაბამისად გაიზარდოს:

მუხლი 17. 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე მომუშავე ორგანიზაციის ხელშეწყობა. - 400 ლარით; (კრედიტორული დავალიანება); **მოწესრიგდეს:**

მუხლი 27. სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრიებული სახლდაზიანებული და უსახკარო მოქალაქეებიის დახმარების პროგრამა, **კერძოდ გაიზარდოს** - 64 500 ლარით; (კრედიტორული დავალიანება)

დანართი N1

2026 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის ღონისძიებათა ხარჯები

	2026 წელი	(ათასი ლარი)		(ათასი ლარი)
	სოციალური პროგრამები	**3525,0**	**+64,5**	**3589,5**
06.02.03	**დედათა და ბავშვთა დახმარება**	**650,0**		**650,0**
	ახალშობილთა დახმარება; (მუხლი 1)	390,0		390,0
	მრავალშვილიანი ოჯახების	260,0		260,0

	დახმარება; (მუხლი 2)			
06.02.05	**დაკრძალვის ხარჯი; (მუხლი 26)**	**6,0**		**6,0**
06.02.07	**სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული და უსახლკარო მოქალაქეების დახმარების პროგრამა (64,5 ათასი კრედიტორული დავალიანება) (მუხლი 27)**	**400,0**	**+64,5**	**464,5**
06.02.04	**სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები.**	**2469,0**		**2469,0**
	მარტოხელა მშობელთა დახმარება; (მუხლი 4)	15,0		15,0
	მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება; (მათ შორის 97,0 ათასი ლარი კრედიტორული დავალიანება)(მუხლი 3)	730,1		730,1
	ხანდაზმულთა დახმარება; (მუხლი 7)	6,0		6,0
	შშმ პირების ფინანსური დახმარება; (მუხლი 13)	167,7		167,7
	სოციალურად დაუცველი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ფინანსური დახმარება; (მუხლი 15)	2,0		2,0
	მიცვალებულთა სარიტუალო ხარჯების დაფინანსება; (მუხლი 25)	8,0		8,0
	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა (ვეტერანთა) სოციალური დახმარება; (მუხლი 8)	40,0		40,0
	2008 წლის აგვისტოს ომში გარდაცვლილ მეომართა ოჯახების ფინანსური დახმარება; (მუხლი 12)	8,0		8,0
	ჩერნობილის ატომური ელექტრო სადგურის აფეთქებისას სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა ფინანსური დახმარება; (მუხლი 9)	13,8		13,8
	სტუდენტების დახმარება; (მუხლი 5)	60,0		60,0
	მოწყვლადი ოჯახების ფინანსური დახმარება; (მუხლი 21)	80,0		80,0
	ფინანსური დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში; (მუხლი 14, პ 2.3,4)	502,8	-0,4	502,4
	აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია; (მუხლი 20)	340,0		340,0
	დიალიზის სახელმწიფო პროგრამას	150,0		150,0

	დაქვემდებარებული ბენეფიციარების დახმარება; (მუხლი 10)			
	უდედმამო ბავშვების ფინანსური დახმარება; (მუხლი 6)	24,0		24,0
	ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით , დიაბეტით დაავადებულ და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა ფინანსური დახმარება. (მუხლი 11)	75,0		75,0
	ფინანსური დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში; (მუხლი 14, პ 1)	25,0		25,0
	ბავშვის უფლებების და მხარდაჭერის პროგრამა; (მუხლი 22)	50,0		50,0
	მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მკვეთრად და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის უსინათლო პირთათვის სპეციალური ტექნიკის შეძენა; (მუხლი 23)	2,0		2,0
	წითელი ჯვრის თანადაფინანსება (“საქმიანობათა ცენტრი სამტრედიაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის”) (სუბსიდიის სახით) (57 000 ლარი); (მუხლი 16)	57,0		57,0
	სოციალურად დაუცველი და სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში მოქალაქის ბინის ქირით უზრუნველყოფა; (მუხლი 18)	40,0		40,0
	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, ხანდაზმულების, მრავალშვილიანების, შშმპ ღონისძიებების ტრანსპორტირების ხარჯები (მუხლი 20)	0		0
	18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე მომუშავე ორგანიზაციის ხელშეწყობა. (სუბსიდიის სახით) (მათ შორის 0,4 ათასი ლარი კრედიტორული დავალიანება), (მუხლი 17)	12,6	+0,4	13,0
	უდედმამო ბავშვებისთვის, სოციალურად დაუცველი: (შშმ პირებისთვის, ომის ვეტერანებისთვის, მრავალშვილიანებისთვის, მარტოხელა მშობლებისთვის) და სხვა შეჭირვებული ოჯახებისთვის საარღდგომოდ და საახალწლოდ ერთჯერადი დახმარება; (მუხლი 24)	60,0		60,0

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა (9) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ნუგზარ ნუცუბიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მუხლი 1.

1. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №16 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 25/12/2025. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.120.016530) შეტანილ იქნეს ცვლილება.

2. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №16 დადგენილებით დამტკიცებული ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი''-ს:

ა) პირველი მუხლის:

ა.ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, 2026 წლის 1 იანვრის შემდეგ შვილის შეძენის შემთხვევაში მიიღებენ დაფინანსებას ერთჯერადად 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით. 2026 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულ ახალშობილებზე დაფინანსება ერთჯერადად 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით გაიცემა იმ ახალშობილის მშობლებზე, რომლის ერთი მშობელი მაინც, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებით, რეგისტრირებული იყო სამტრედიის მუნიციპალიტეტში არაუგვიანეს 2026 წლის 1 იანვრამდე და ამ თარიღიდან უწყვეტად ინარჩუნებს რეგისტრაციას ახალშობილის დაბადებამდე. იმ შემთხვევაში, თუ სამტრედიის მუნიციპალიტეტში არაუგვიანეს 2026 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებული იყო ახალშობილის მხოლოდ დედა და ამ თარიღიდან უწყვეტად ინარჩუნებს რეგისტრაციას ახალშობილის დაბადებამდე, ამ შემთხვევაში 2026 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულ ახალშობილზე დაფინანსება ერთჯერადად 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით გაიცემა, თუ ოჯახი ფაქტობრივად ცხოვრობდა სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026 წლის 1 იანვრამდე და ამ დროიდან უწყვეტად ცხოვრობს სამტრედიის მუნიციპალიტეტში.''

ა.ბ) პირველი მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ''-ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

ბ) მე-3 მუხლის:

ბ.ა) პირველი პუნქტის ,,ა''-ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000-ს, შშმპ და ომის ვეტერანები, ონკოლოგიური პაციენტები, მრავალშვილიანი ოჯახის (4 და მეტი 18 წლამდე) წევრი, მარტოხელა პირი (პირი, რომელთანაც არ ცხოვრობს სრულწლოვანი შრომისუნარიანი პირი), 1.00-დან-500 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 100 %, 500-1000 ლარის ჩათვლით 500 ლარით, 1000 ლარის ზემოთ 600 ლარით;''

ბ.ბ) მე-2 პუნქტის ,,ა''-ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000-ს, შშმპ და ომის ვეტერანები, ონკოლოგიური პაციენტები, მრავალშვილიანი ოჯახის (4 და მეტი 18 წლამდე) წევრი, მარტოხელა პირი (პირი, რომელთანაც არ ცხოვრობს სრულწლოვანი შრომისუნარიანი პირი), 1.00 -დან -800 ლარის ჩათვლით მაქსიმუმ 300 ლარით, 800 ლარის ზემოთ 400 ლარით;''

ბ.გ) მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,თ''-ქვეპუნქტი:

,,თ) მარტოხელა პირის (პირის, რომელთანაც არ ცხოვრობს სრულწლოვანი შრომისუნარიანი პირი) შემთხვევაში, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა, რომ ამ პირთან არ ცხოვრობს სრულწლოვანი შრომისუნარიანი პირი.

გ) მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერად 300 ლარიან სოციალურ დახმარებას მიიღებენ შემდეგი კატეგორიის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახები და ომის მონაწილეები:

ა) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი შშმ პირები;

ბ) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახები.''

დ) მე-14 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მცხოვრები ოჯახები, რომლებიც წარმოადგენენ რისკის ქვეშ (საჭიროებენ გადაუდებელ სარემონტო სამუშაოს ჩატარებას), უკიდურეს მძიმე მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს, რომელთაც არანაირი შემოსავალი არ გააჩნიათ ოჯახის სარჩენად, ასევე მოქალაქეებს, რომლებიც არიან ჯანმრთელობის მხრივ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში, დახმარების ოდენობა განისაზღვროს მერიაში შექმნილი კომისიის მიერ, სიმძიმის მიხედვით 100-დან 1000 ლარის ჩათვლით:

ა) არის მოვლა პატრონობის გარეშე დარჩენილი პირი, უმუშევარი, სოციალურად დაუცველი, შშმპ, შეჭირვებული- 100 ლარი;

ბ) არის მოვლა პატრონობის გარეშე დარჩენილი პირი, უმუშევარი, სოციალურად დაუცველი, არა აქვს საკუთარი სახლი და ცხოვრობენ სხვის ბინაში –150 ლარი;

გ) წარმოდენილი აქვს ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100 – 150 ლარი;

დ) წარმოდგენილი აქვს ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100, დაავადებულია რამოდენიმე ქრონიკული დაავადებით – 200 ლარი;

ე) წარმოდგენილი აქვს ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100, აქვს უმძიმესი

საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობები – 300 ლარი;

ვ) არის შშმ პირი, მრავლშვილიანი (3 და მეტი) ოჯახი, რომლებსაც არა აქვს საცხოვრებელი სახლი და ცხოვრობენ სხვის ბინაში – 500 ლარი;

ზ) საჭიროებენ გადაუდებელ სარემონტო სამუშაოს ჩატარებას – 500 ლარი. განსაკუთრებულ შემთხვევაში 1000 ლარი.''

ე) 27-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. პროგრამა მიზნად ისახავს უკიდურესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, რომელთა საცხოვრებელი სახლები ამორტიზირებულია და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ გაცემული დასკვნის თანახმად, მოსახლეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხეს არ ექვემდებარება აღდგენას/რეაბილიტაციას ან შესაძლებელია რეაბილიტაცია, ან ოჯახს არ გააჩნია საცხოვრებელი ფართი. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავებულ იქნა ქვეპროგრამა „მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა“. ქვეპროგრამის მიზანია ამ ოჯხაბისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა, სოციალური რისკების შემცირება და მათი სოციალური ფუნქციონირების ამაღლება. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება „მცირეფართიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ან საცხოვრებელი პირობებეის გაუმჯობესების პროექტი“, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტს, საჭიროების მიხედვით უზრუნველყოს ახალი საცხოვრებელი სახლის აშენება ან არსებული საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია.''

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა (9) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ნუგზარ ნუცუბიძემ, კომისიის წევრებს გააცნო .,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი''-ს 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N გ-63.632535828 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 13 მარტის N62-622607299 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, .,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი''-ს 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N გ-63.632535828 განკარგულებაში ცვლილების შეტანას. ა.(ა)ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი“-ს 01.01.2026 წლის მდგომარეობით საკუთარი შემოსავლებით გასაწევ ხარჯებში ნაშთის სახით დარჩა 10.5 ათ.ლარი. ითხოვს ცვლილების შეტანას სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის გ-63-632535828 დამტკიცებულ 2026 წლის განკარგულებაში და საკუთარი შემოსავლების გეგმის გაზრდას 10.5 ათ.ლარით, შესაბამისად ხარჯებში, საქონელი და მომსახურების მუხლის გაზრდას 10.5 ათ.ლარით.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა (9) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის მდივანი: /ლია ყურულაშვილი/

ნუგზარ ნუცუბიძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია-შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული
ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი